საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ძ. ჩ.

წარმომადგენელი - თ. ჯ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.04.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №042/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. გ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 01 აპრილს, ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ძ. ჩ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მის ინტერესებს იცავდნენ ადვოკატები ვ. გ. და ბ. ყ..

1.2 ძ. ჩ.-ს პრეტენზიით ადვოკატი ვ. გ. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ერთად ერთ ოფისში საქმიანობდა და კლიენტის მომსახურების პროცესში მის საწინააღმდეგო მოქმედებებს ასრულებდა. კერძოდ, ადვოკატმა კლიენტი შეცდომაში შეიყვანა სასამართლოში მიმდინარე დავაში მორიგების აქტის შედგენის დროს, არ განუმარტა მას მორიგების აქტის შინაარსი და არ განუმარტა მორიგების აქტის საფუძველზე ანდერძის გაუქმების სავარაუდო შედეგები. ამასთან,

დავის დასრულების შემდეგ ადვოკატმა ვ. გ.-მ მას არ გადასცა სასამართლოს მიერ დაბრუნებული ბაჟის თანხა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ძ. ჩ.-მ ადვოკატები ვ. გ. და ბ. ყ. აიყვანა სამოქალაქო დავაში საადვოკატო მომსახურების გაწევის მიზნით. საჩივრის ავტორისთვის ცნობილი იყო, რომ ვ. გ. იყო სისხლის სამართლის ადვოკატი და ამიტომ დამატებით აიყვანა სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი ბ. ყ.. ადვოკატებს მისი ინტერესი უნდა დაეცვათ ყოფილი რძლის წინააღმდეგ, რომელმაც ძ. ჩ.-ს საკუთრებაში არსებული ქონება მოტყუებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაიფორმა. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით ძ. ჩ.-მ ადვოკატების დახმარებით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. სასამართლოში დავა მორიგებით დამთავრდა, თუმცა საჩივრის ავტორს საქმის მორიგებით დასრულება არ სურდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატებმა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან - ა. ბ.-სთან ერთად შეადგინეს - კანონსაწინააღმდეგო მორიგების აქტი. ადვოკატებმა შესთავაზეს, რომ მორიგების აქტის მიხედვით მის სახელზე რიცხული ქონება უნდა ეანდერძა მისი შვილიშვილისთვის და სამი თვის შემდეგ შესაძლებლობა ექნებოდა შვილიშილის მიერ გამოჩენილი უმადურობის საფუძველზე ანდერძი გაეუქმებინა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას ადვოკატებთან არასოდეს უთქვამს, რომ ის აიღებდა ანდერძის შედგენის ვალდებულებას, მათ მხოლოდ განუმარტა რომ მომავალში უანდერძებდა ქონებას მის შვილიშვილს თუ ამას დაიმსახურებდა.

1.5 ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, სამოქალაქო დავის დასრულების შემდეგ ადვოკატებმა არ გადასცეს ძ. ჩ.-ს დოკუმენტები და სასამართლოს განჩინება. სასამართლოს განჩინების მიღების მიზნით ძ. ჩ. წავიდა ბ. ყ.-თან, რომელმაც უთხრა რომ განჩინება ვ. გ.-ს ჰქონდა. ადვოკატმა ვ. გ.-მ კი უთხრა, რომ განჩინებას გადასცემდა, თუმცა განჩინება არ მისცა. საჩივრის ავტორმა აიყვანა სხვა ადვოკატი დ. ჯ., რომლის დახმარებითაც განჩინება სასამართლოდან გამოითხოვა. ძ. ჩ.-მ სწორედ მისგან შეიტყო, რომ სასამართლო განჩინების მიხედვით მას დაუბრუნდა ბაჟის თანხა, თუმცა ადვოკატმა ვ. გ.-მ თანხა ძ. ჩ.-ს არ გადასცა. როგორც ძ. ჩ.-სთვის მოგვაინებით გახდა ცნობილი, 2016 წელს ადვოკატმა ვ. გ.-მ სასამართლოდან მიიღო ბაჟი 500 ლარის ოდენობით, რომელიც მან ძ. ჩ.-ს 2019 წელს ადვოკატ ჯ. ჟ.-ს დახმარებით დაუბრუნა, რაც ხელწერილით დაადასტურა ჯ. ჟ.-მ.

1.6 მორიგების აქტის მიხედვით სადავო ქონება დაუბრუნდა ძ. ჩ.-ს და მან ასევე შეადგინა ანდერძი, თუმცა მოგვაინებით ადვოკატმა ვ. გ.-მ ანდერძი სანოტარი წესით გააუქმებინა. საჩივრის ავტორის სურვილი იყო თავისი ქონება თავისი შვილებისთვის ეანდერძა, რისთვისაც მიმართა სასამართლოს. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა, თუმცა მოპასუხე მხარემ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა. ადვოკატმა ვ. გ.-მ შეადგინა სააპელაციო შესაგებელი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან თავდაპირველ დავაში დამტკიცებულებული მორიგების აქტი კანონიერ ძალაში იყო შესული.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი ჯ. ჟ. და ვ. გ. ერთ ოთახში მუშაობდნენ და ძ. ჩ.-სა და ადვოკატ ვ. გ.-ს საუბარს ჯ. ჟ.-ც ესწრებოდა. 2018 წელს მისი ყოფილი რძლის ადვოკატი გახდა ა. ბ..

1.8 ბ. ყ.-მა და ვ. გ.-მ ზუგდიდში ადვოკატთა უფლებათა დაცვის კომიტეტს განცხადებით მიმართეს. ადვოკატები თხოვდნენ კომიტეტს, რომ გამოეკვლია ძ. ჩ.-ს განცხადების საფუძველზე მათ წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლის საქმე, სახელმწიფო ბაჟის მითვისების თაობაზე. კომიტეტის თავმჯდომარემ რ. შ.-მ დაიბარა ძ. ჩ. სხდომაზე. ძ. ჩ.-სთან ერთად იმყოფებოდა ადვოკატი დ. ჯ., თუმცა დ. ჯ. არ დაუშვეს სხდომაზე. კომიტეტში მიიჩნევდნენ, რომ ადვოკატების წინააღმდეგ პროკურატურაში შესული განცხადების დროს ძ. ჩ. წააქეზა ადვოკატმა დ. ჯ.-მ.

2. მოწმე რ. ქ.-ს განმარტება:

2.1 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, 2019 წლის 02 აგვისტოს მოწმის სახით გამოიკითხა რ. ქ.. მოწმის განმარტებით, ის არის ძ. ჩ.-ს მეზობელი და მასთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს. რ. ქ. პროფესიით არის იურისტი და რუსეთში ცხოვრების პერიოდში ამ მიმართულებით საქმიანობდა. ძ. ჩ. ხშირად მიდიოდა მასთან და მისი პრობლემების შესახებ ესაუბრებოდა.

2.2 მოწმე ადვოკატ ვ. გ.-ს ესაუბრა პირადად, როდესაც ძ. ჩ.-მ მისი დახმარებით გააუქმა ანდერძი. ადვოკატმა ვ. გ.-მ მას აუხსნა, რომ მოსამართლე დაუკავშირდა და უთხრა, რომ შეეძლოთ ანდერძის გაუქმება, ასევე მას ძ. ჩ.-სგან ჰქონდა თანხმობა მიცემული ანდერძის გაუქმების თაობაზე. ადვოკატმა ვ. გ.-მ აუხსნა მოწმეს, რომ ძ. ჩ.-ს ამით ზიანი არ მიადგა, რადგან სახლი კვლავ მის სახელზე ირიცხებოდა, მისი შვილები კი შემდგომში მემკვიდრეობით მიიღებდნენ ქონებას. რ. ქ.-ს შეკითხვაზე, თუ რა მოხდებოდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემთხვევაში ქონება თუ ძ. ჩ.-ს შვილიშვილს მიეკუთვნებოდა, ადვოკატმა უპასუხა, რომ იქამდე დრო ჰქონდათ და სამი თვის შემდეგ, როგორც უღირსი მემკვიდრის მიმართ ანდერძს გააუქმებდნენ.

3. მოწმე ე. დ.-ის განმარტება:

3.1 2019 წლის 02 აგვისტოს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა ე. დ.. მოწმის განმარტებით ის არის ძ. ჩ.-ს შვილების მეგობარი და იცნობს როგორც საჩივრის ავტორს, ასევე ადვოკატებს.

3.2 ძ. ჩ.-ს შვილებმა ე. დ.-ს დაურეკეს დედისთვის დახმარების გაწევის მიზნით და აუხსნეს, რომ ძ. ჩ.-ს ჰქონდა სამოქალაქო დავა. ძ. ჩ.-ს ადვოკატი იყო ვ. გ.. ე. დ.-მ საჩივრის ავტორს უთხრა, რომ ვ. გ.-სთან ერთად სხვა ადვოკატიც აეყვანა, რომელიც იქნებოდა სამოქალაქო საქმის სპეციალისტი. ე. დ.-ს ურჩიეს ადვოკატი ბ. ყ. და ძ. ჩ.-სთან და ი. მ.-თან ერთად წავიდა ბ. ყ.-თან, რომელიც შემდეგ გახდა ძ. ჩ.-ს ადვოკატი.

3.3 მოწმის განმარტებით, სასამართლოს მიერ ბათილად იქნა ცნობილი ნასყიდობის ხელშეკრულება და მოსამართლემ მხარეებს შესთავაზა მორიგება. თავიდან ვ. გ. წინააღმდეგი იყო, რადგან არ ჭირდებოდათ მოგებულ საქმეში მორიგება, თუმცა მოსამართლემ კვლავ აუხსნა მორიგების

თაობაზე, რაზედაც ბ. ყ. დათანხმდა. შეთანხმების მიხედვით ძ. ჩ.-ს შვილიშვილის სახელზე უნდა შეედგინა ანდერძი, ხოლო სამი თვის გასვლის შემდეგ ძ. ჩ.-ს შეეძლო ანდერძის გაუქმება მისი შვილიშვილის უღირს მემკვიდრედ გამოცხადების საფუძველზე. მხარეები შეთანხმდნენ აღნიშნულ პირობაზე და შედგა მორიგების აქტი. ბ. ყ.-მა მორიგების აქტში ჩაწერა, რომ ძ. ჩ.-ს არ ჰქონდა ანდერძის გაუქმების უფლება, თუმცა ვ. გ.-მ დამატებითი პუნქტი მიუთითა აქტში, რომლის მიხედვით შვილიშვილის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევში ძ. ჩ.-ს უფლება ექნებოდა ანდერძი გაეუქმებინა. რამოდენიმე ხნის შემდეგ ძ. ჩ.-მ კვლავ მიმართა სასამართლოს ანდერძის გაუქმების მოთხოვნით. ძ. ჩ.-მ დაურეკა მოწმეს და უთხრა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მათ სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, თუმცა მოგვიანებით აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა. მოწმე შეესწრო საუბარს, სადაც ადვოკატი ვახტან გაბედავა ძ. ჩ.-ს, მის შვილს და სიძეს უხსნიდა, რომ მოსამართლემ დაურეკა და უთხრა ანდერძის გაუქმების თაობაზე.

3.4 სასამართლოში დავის განხილვის დროს, მოსამართლემ აუხსნა მხარეებს, რომ ანდერძის გაუქებას შეძლებდნენ სასამართლოს მიმართვის გზით, თუმცა ადვოკატებმა ამის თაობაზე არაფერი აუხსნეს ძ. ჩ.-ს.

4. მოწმე ი. მ.-ის განმარტება:

4.1 მოწმე ი. მ. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გამოიკითხა 2019 წლის 02 აგვისტოს. მოწმის განმარტებით, ის არის ძ. ჩ.-ს სიძის მეგობარი და მის ოჯახთან დიდიხნის ურთიერთობა აკავშირებს. ი. მ.-მა ადვოკატი ვ. გ. გაიცნო ძ. ჩ.-სგან. საჩივრის ავტორმა უთხრა მას, რომ არ მოსწონდა ადვოკატი ვ. გ., რის გამოც, დაიწყეს სხვა ადვოკატის მოძიება და ურჩიეს ადვოკატი ბ. ყ.. ი. მ. ძ. ჩ.-სთან ერთად შეხვდა ადვოკატ ბ. ყ.-ს და ადვოკატმა გამოთქვა მზაობა, რომ დაიცავდა ძ. ჩ.-ს ინტერესებს.

4.2 ი. მ. დაესწრო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გამართულ პროცესს, როდესაც ძ. ჩ.-ს ყოფილმა რძალმა, ბ. ა.-მ აღიარა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება მოტყუებით დაიდო. შესაბამისად, დავა ძ. ჩ.-ს სასარგებლოდ უნდა დასრულებულიყო, თუმცა სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ შესთავაზა მხარეებს მორიგება. ადვოკატი ვ. გ. მორიგების წინააღმდეგი იყო და ამბობდა, რომ საქმე მოგებული იყო. ადვოკატი ბ. ყ. მორიგებას უჭერდა მხარს. მოსამართლემ დამსწრე პირები დარბაზიდან გამოუშვა, რა დროსაც მხარეებს შორის შედგა მორიგება. ადვოკატემა ძ. ჩ.-ს უთხრეს, რომ არ ენერვიულა, რადგან სამი თვით იქნებოდა ანდერძი შედგენილი და თუ მისი შვილიშვილი, რ. ჩ. არ მოუვლიდა და ყურადღებას არ მიაქცევდა ბებიას, ანდერძს გააუქმებდნენ.

4.3 ი. მ.-მა ურჩია საჩივრის ავტორს, რომ დოკუმენტებისთვის სურათი გადაეღო და სხვა იურისტებისთვის მიეტანა. თუმცა ადვოკატები დოკუმენტებს არ აძლევდნენ გასაცნობად. მოგვიანებით როდესაც ი. მ. ესაუბრა ვ. გ.-ს მორიგების აქტის თაობაზე, ვ. გ.-მ უთხრა რომ ბ. ყ.-მა მე-4 პუქტი ისე მიუთითა მორიგების აქტში, რომ ამის საფუძველზე ხელშეკრულება ვერასოდეს გაბათილდებოდა.

4.4 ი. მ.-მა თავის ახლობლებსაც ურჩია სამართლებრივ პრობლემების მოსაგვარებლად ადოკატ ვ. გ.-სთვის მიემართათ. როდესაც მისი ახლობლები ვ. გ.-ს ოფისში მივიდნენ, ნახეს რომ ადვოკატი ვ. გ. ძ. ჩ.-ს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ჯ. ჟ.-სთან ერთად ერთ ოფისში, ერთ ოთახში საქმიანობდა, რის თაობაზე, ი. მ.-მა მისი ახლობლებისგან შეიტყო. მოწმემ ძ. ჩ.-სთან საუბრის დროს ასევე გაიგო, რომ ვ. გ.-სთან ოფისში მისვლის დროს, მათ საუბარს ესწრებოდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი.

4.5 მოწმის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე ძ. ჩ.-ს იურიდიული ტერმინოლოგია ერ ესმოდა და ხშირად მისი ახლობლები უთარგმნიდნენ ქართულიდან მეგრულად, ასევე მეგრულად უთარგმნიდა ადვოკატი ბ. ყ..

5. მოწმე ჯ. ჟ.-ს განმარტება:

5.1 საპროცესო კოლეგიამ 2019 წლის 15 ნოემბერს მოწმის სახით გამოკითხა ადვოკატი ჯ. ჟ.. მისი განმარტებით, ის სისხლის სამართლის სპეციალიზაციით საადვოკატო საქმნიანობას 2007 წლიდან ეწევა.

5.2 მოწმის განმარტებით, ის იცნობს ბ. ყ.-ს და ვ. გ.-ს, როგორც კოლეგებს. ჯ. ჟ. წარმოადგენდა ძ. ჩ.-ს მოწინააღმდეგე მხარის - ბ. ა.-ს ინტერესებს. ბ. ა.-ს ინეტერესების დაცვის დროს ადვოკატ ჯ. ჟ.-ს ოფისი მდებარეობდა ზუგდიდში, რუსთაველის N---ში. მასთან ერთად ამავე ბიუროში მუშაობდნენ გ. ძ. და რ. თ.. ადვოკატი ვ. გ. აღნიშნულ მისამართზე არასოდეს საქმიანობდა. ჯ. ჟ.-ს ადვოკატ ვ. გ.-სთან ერთად ერთი ოფისის ერთ ოთახში არასოდეს უმუშავია. დაახლოებით 2 წელია ადვოკატ ჯ. ჟ.-ს ზუგდიდში, ტიკიას N---ში მდებარე შენობაში აქვს ოფისი და ამავე მისამართზე, თუმცა სხვა ოთახში აქვს ნაქირავები ადვოკატ ვ. გ.-ს ოთახი.

5.3 მოწმის განმარტებით, ბ. ა.-ს ინტერესებს წარმოადგენდა მხოლოდ პირველი ინსტანციიოს სასამართლოში. მას არ აქვს სამოქალაქო სპეციალიზაცია, რის გამოც საქმის გაგრძელება ვეღარ შეძლო შემდეგ ინსტანციებში.

6. მოწმე რ. შ.-ს განმარტება:

6.1 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2019 წლის 02 ოქტომბერს მოწმის სახით განმარტება მისცა ადვოკატმა რ. შ.-მ. მოწმის განმარტებით, საჩივრის ავტორი გაიცნო მას შემდეგ, რაც სამეგრელო ზემო სვანეთის ადვოკატთა უფლებათა დაცვის კომიტეტში შევიდა ადვოკატ ვ. გ.-ს განცხადება, სადაც მითითებული იყო, რომ ძ. ჩ.-ს განცხადების საფუძველზე მის მიმართ უსაფუძვლო გამოძიება დაიწყო. ვ. გ. მიიჩნევდა, რომ მისი, როგორც ადვოკატის უფლებები ირღვეოდა, რადგან კლიენტს დაუბრუნა სახელმწიფო ბაჟი, თუმცა გამოძიება მაინც გრძელდებოდა. რ. შ.-მ, როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ დავალება მისცა თანათავჯდომარეს - ჯ. გ.-ს განცხადების განხილვის მიზნით რეაგირება დაეწყო.

6.2 ადვოკატთა უფლებათა დაცვის კომიტეტი წავიდა ძ. ჩ.-სთან გასაუბრების მიზნით, თუმცა ის სახლში არ იყო, როგორც გაირკვა ძ. ჩ.-ს ადვოკატმა დ. ჯ.-მ აცნობა მას სხდომის თაობაზე და ისინი თვად წავიდნენ ადვოკატთა ასოციაციის ოფისში. კომიტეტმა გამოჰკითხა ძ. ჩ.. გასაუბრება არ მომხდარა მის ადვოკატთან დ. ჯ.-სთან, ვინაიდან განცხადების განხილვა მის მიმართ არ

მიმდინარეობდა. ძ. ჩ.-სთან გასაუბრების მიზანი კი იყო იმ ფაქტის დადგენა, თუ რა მიზნით მიმართა მან საგამოძიებო ორგანოებს ადვოკატ ვ. გ.-ს წინააღმდეგ. კომიტეტმა დაადგინა, რომ იკვეთებოდა ადვოკატის მიმართ უსაფუძვლო გამოძიების დაწყების ნიშნები. კომიტეტის სხდომაზე ძ. ჩ.-ს განმარტებიდან ასევე გაირკვა, რომ მას საჩივარი ჰქონდა შეტანილი ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში და პრეტენზიები ჰქონდა ადვოკატების მიმართ. ძ. ჩ.-მ კომიტეტტის სხდომაზე ასევე ისაუბრა სამოქალაქო დავაზე, სადაც მის ინტერესებს წარმოადგენდნენ ადვოკატები ვ. გ. და ბ. ყ.. სამოქალაქო საქმეზე დავა მორიგებით დასრულდა, თავად ძ. ჩ.-ს ჰქონდა მორიგების აქტზე ხელმოწერა, მონაწილეობდა სასამართლო სხდომებზე და სასამართლომ განუმარტა ბაჟის თანხის დაბრუნებაზე. კომიტეტის სხდომაზე გაირკვა, რომ ძ. ჩ.-ს ჰონორარი არ ჰქონდა გადახდილი ადვოკატისთვის და შესთავაზა, ბაჟის თანხა ჰონორარის სახით აეღო. ადვოკატმა ვ. გ.-მ მინდობილობის საფუძველზე დაიბრუნა ბაჟის თანხა, თუმცა როდესაც ძ. ჩ.-ს პრეტენზია წარმოეშვა აღნიშნულ თანხაზე ადვოკატმა ვ. გ.-მ ადვოკატ ჯ. ჟ.-ს დახმარებით დაუბრუნა თანხა საჩივრის ავტორს. კომიტეტის სხდომაზე, ძ. ჩ.-მ არ დააფიქსრია პრეტენზია ადვოკატების მიმართ ჰონორარიას სახით გადაცემული თანხის თაობაზე.

7. მოწმე ი. ჩ.-ს განმარტებით:

7.1 2019 წლის 14 აგვისტოს საპროცესო კოლეგიამ მოწმის სახით გამოკითხა ძ. ჩ.-ს შვილი ი. ჩ.. მოწმის განმარტებით, ადვოკატებმა ვ. გ.-მ და ბ. ყ.-მა ძ. ჩ.-ს ხელი მოაწერინეს მორიგების აქტზე, თუმცა ძ. ჩ. არ იყო ინფორმირებული აქტის შინაარსზე. ძ. ჩ.-ს არ ესმოდა მორიგების აქტის მე-3 და მე-4 პუნქტები და ადვოკატებმა აუხსნენ, რომ მე-4 პუნქტით მოგებული ჰქონდა საქმე და ქონებას დაიბრუნებდა.

7.2 ი. ჩ.-ს განმარტებით, ადვოკატმა ვ. გ.-მ ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა შეტყობინება ანდერძის გააუქმების თაობაზე. მოწმე ადვოკატ ვ. გ.-ს შეხვდა 2018 წელს იუსტიციის სახლში. ადვოკატმა აუხსნა, რომ საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე ცვლილების რეგისტრაციას პრობლემა არ შეექმნებოდა. თუმცა, ძ. ჩ.-მ იუსტიციის სახლიდან უარი მიიღო, რის გამოც მიმართეს სასამართლოს.

7.3 ი. ჩ.-ს განმარტებით, ვ. გ.-სთან ოფისში ყოფნის დროს, მასთან ერთად იყო ძ. ჩ.-ს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი ჯ. ჟ.. მოწმე შეეკითხა ვ. გ.-ს, რამდენად სწორი იყო ადვოკატ ჯ. ჟ.-ს იქ ყოფნა, რაზედაც ადვოკატმა ვ. გ.-მ უთხრა, რომ შესაძლებელი იყო მისი იქ ყოფნა.

7.4 ადვოკატმა ბ. ყ.-მა ძ. ჩ.-ს ქალიშვილები დაიბარა იუსტიციის სახლში. ძ. ჩ.-ს შვილებს სურდათ ვ. გ.-ს და ბ. ყ.-ს ერთად ნახვა, თუმცა მხოლოდ ბ. ყ. იმყოფებოდა იუსტიციის სახლში. ადვოკატმა ბ. ყ.-მა მორიგების აქტში მე-3 და მე-4 პუნქტების ჩაწერა დააბრალა ადვოკატ ვ. გ.-ს. ვ. გ.-სთან შეხვედრის შემდეგ კი ადვოკატმა ვ. გ.-მ მათ უთხრა, რომ მე-3 პუნქტი ჩაწერა ბ. ყ.-მა, ხოლო მე-4 პუნქტი დაუმატა თავად.

8. მოწმე ი. ჩ.-ს განმარტება:

8.1 2019 წლის 14 აგვისტოს საპროცესო კოლეგიამ მოწმის სახით გამოკითხა ძ. ჩ.-ს შვილი ი. ჩ.. მოწმის განმარტებით პირველი ინსტანციის სასამართლოში პროცესების მიმდინარეობის დროს საქართველოში არ იმყოფებოდა. მას შემდეგ რაც საქმე დასრულდა ის ჩამოვიდა საქართველოში

და მორიგების აქტი წაიღო სხვა ადვოკატთან, სადაც ასევე დაიბარეს ადვოკატი ბ. ყ.. ი. ჩ.-მ ჰკითა მას, თუ რა მიზნით ჩაწერეს მე-3 პუნქტი მორიგების აქტში. ადვოკატმა ბ. ყ.-მა განუმარტა, რომ მე-3 პუნქტის ჩანაწერს არ შეუძლია დააზარალოს ძ. ჩ.. მე-4 პუნქტი კი დაწერა ადვოკატმა ვ. გ.-მ.

8.2 ადვოკატმა ბ. ყ.-მა ი. ჩ.-ს განუმარტა, რომ ნოტარიუსთან ანდერძის გაუქმება არასწორი მოქმედება იყო, თუმცა ადვოკატმა ვ. გ.-მ აუხსნა, რომ მოსამართლემ უთხრა ამ მოქმედების სისწორეზე.

8.3 მოწმის განმარტებით, ძ. ჩ.-სთან ერთად შეხვდა ადვოკატ ვ. გ.-ს და წავიდნენ ნოტარიუსთან ანდერძის გაუქმების მიზნით. ვ. გ. უხსნიდა ძ. ჩ.-ს, რომ ანდერძის გაუქმების შემდეგ ძ. ჩ.-ს შეეძლო მისი შვილების ჩაწერა საჯარო რეესტრისთვის მიმართვის გზით. ადვოკატმა ვ. გ.-მ ანდერძი გააუქმა და მოწმე ი. ჩ. ადვოკატ ვ. გ.-სთან და ძ. ჩ.-სთან ერთად წავიდა იუსტიციის სახლში, სადაც მიიტანეს ყველა დოკუმენტი ძ. ჩ.-ს შვილების ჩაწერის მიზნით, თუმცა იუსტიციის სახლისგან მიიღეს პასუხი, რომ განცხადება არ დაკმაყოფილდა და ამ მოთხოვნით სასამართლოსთვის უნდა მიემართათ. ადვოკატმა ვ. გ.-მ უთხრა ი. ჩ.-ს, რომ სასამართლოს მიმართავდა და ყველაფერს გააკეთებდა.

9. ადვოკატ ვ. გ.-ს პოზიცია:

9.1 2019 წლის 12 აპრილს ადვოკატმა ვ. გ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განამარტებით, ძ. ჩ.-ს და მის ყოფილ რძალს ბ. ა.-ს შორის 2014 წლის 16 იანვრს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ძ. ჩ.-მ ბ. ა.-ს გადასცა მისი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 20 000 ლარად და თხილნარის პლანტაცია 15 000 ლარად. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქონება აღირიცხა ბ. ა.-ს სახელზე. 2015 წლის 01 დეკემბერს ძ. ჩ.-მ მიმართა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. რწმუნებულების საფუძველზე სასამართლოში ძ. ჩ.-ს ინტერესებს წარმოადგენდნენ ვ. გ. და ბ. ყ.. სასამართლო პროცესებს ესწრებოდა ძ. ჩ.-ც. სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს ბ. ა.-მ აღიარა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული იყო მოტყუებით, შესაბამისად არსებობდა ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების უპირობო საფუძველი. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ძ. ჩ.-ს ნება-სურვილი იყო ქონების ანდერძით დატოვება შვილიშვილზე, რაც განუცხადა მოსამართლეს, ბ. ა.-სა და ძ. ჩ.-ს შორის 2016 წლის 08 თებერვალს მოხდა მორიგება, რომლის მიხედვით გაუქმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და ძ. ჩ.-მ აიღო ვალდებულება, რომ ქონებას უანდერძებდა მის შვილიშვილს - რ. ჩ.-ს. მორიგების აქტით ასევე განისაზღვრა ანდერძის გაუქმების უფლება, იმ შემთხვევაში თუ რ. ჩ. არ გამოიჩენდა მზრუნველობას ბებიის მიმართ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. ვინაიდან ძ. ჩ.-ს შვილიშვილი მის მიმართ არ იჩენდა მზრუნველობას ძ. ჩ.-მ გადაწყვიტა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შედგენა და ქონების გადაცემა სხვა პირზე, ვინც მოუვლიდა მას. 2016 წლის 26 ოქტომბერს ძ. ჩ.-მ მიმართა სასამართლოს ვალდებულების შეწყვეტისა და ანდერძის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

9.2 ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2016 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელის მიღებაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ სამოქალაქო კოდექსის 1398-ე მუხლის მიხედვით

მოანდერძეს ყოველთვის შეუძლია შეცვალოს ან მოშალოს ანდერძი; ასევე ძ. ჩ.-ს მიეთითა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 08.02.2016 წლის განჩინების 1.4 პუნქტით უფლება ჰქონდა გაეუქმებინა ანდერძი თუ რ. ჩ. გამოიჩენდა მძიმე შურაცხყოფას და დიდ უმადურობას და ა.შ. ასევე სარჩელში უნდა განემარტა რა უშლიდა ხელს სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით მოეშალა ანდერძი.

9.3 2017 წლის 29 ნოემბერს ძ. ჩ.-მ ვ. გ.-ს დახმარებით ისევ მიმართა სარჩელით ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ვალდებულების შეწყვეტა, რადგან სასამართლოს მითითების თანახმად ძ. ჩ.-მ გააუქმა ანდერძი სანოტარო ორგანოში. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით ძ. ჩ.-ს სარჩელი დაკმყოფილდა.

9.4 ადვოკატის განმარტებით სამოქალაქო დავაზე მორიგებით დასრულება და შვილიშვილისთვის ანდერძით ქონების დატოვება იყო ძ. ჩ.-ს სურვილი, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. ადვოკატის განმარტებით ძ. ჩ.-ს არაერთხელ განუმარტეს მორიგების აქტის პიროებები - თუ რას ნიშნავდა და რა ვალდებულებებს აკისრებდა მას. მისი თანდასწრებით შედგა მორიგების აქტის პროექტი, რაც წარუდგინეს სასამართლოს. სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ განიხილა მორიგების აქტის პირობები ძ. ჩ.-ს თანდასწრებით და მორიგების აქტზე თავად ძ. ჩ.-მ მოაწერა ხელი. ადვოკატის განმარტებით საქმის მორიგებით დასრულების შემდეგ ძ. ჩ.-ს გადაეცა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება და საქმესთან დაკავშირებული მასალები.

9.5 პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოწინააღმდეგე მხარემ, ხოლო ძ. ჩ.-მ აღარ მიმართა ვ. გ.-სა და ბ. ყ.-ს დახმარების მიზნით. მან აიყვანა ახალი ადვოკატი დ. ჯ., რომელმაც მოუმზადა სააპელაციო შესაგებელი და სააპელაციო სასამართლოში დაიცვა ძ. ჩ.-ს ინტერესები.

9.6 ადვოკატი ვ. გ. უარყოფს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ა. ბ.-სთან ურთიერთობას მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების გატარების მიზნით, ვინაიდან თავდაპირველ დავაში ძ. ჩ.-ს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი ჯ. ჟ..

10. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

10.1 2020 წლის 06 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

10.2 საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ ადვოკატ ვ. გ.-ს მიერ დარღვევული იქნება ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება იმ შემთხვევაში თუ განხილვის ეტაპზე დადასტურდება, რომ ადვოკატმა ვ. გ.-მ ძ. ჩ.-ს არ მიაწოდა ინფორმაცია ანდერძის გაუქმებით გამოწვეული მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე და ინფორმაცია არ მიაწოდა სასამართლოს მიერ ბაჟის დაბრუნების თაობაზე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.6 მუხლი).

10.3 საპროცესო კოლეგიამ ასევე მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში თუ განხილვის ეტაპზე დადასტურდება, რომ ადვოკატი ვ. გ. და ძ. ჩ.-ს მოპასუხე მხარის ადვოკატი - ჯ. ჟ. ერთ საადვოკატო ოფისში საქმიანობდნენ, სადაც ძ. ჩ.-ს საუბარს ესწრებოდა ადვოკატი ჯ. ჟ., დარღვეული იქნება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1 და 6.3 მუხლები.

10.4 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდით მიიჩნია, რომ ადვოკატმა ვ. გ.-მ არ გადასცა ძ. ჩ.-ს დოკუმენტები და სასამართლოს განჩინება, რის გამოც შესაძლოა დარღვეული იყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

11. საქმის ფაქტები:

11.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

11.1.1. ადვოკატი ვ. გ., ადვოკატ ბაჩუკი ყურაშილთან ერთად ძ. ჩ.-ს ინტერესებს იცავდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, სამოქალაქო საქმეზე. ძ. ჩ.-ს სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო მისი ყოფილი რძლის - ბ. ა.-ს მიმართ, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძვლით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტებებს;
- ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 08.02.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №020210015001174100(2/1233-15).

11.1.2. 2016 წლის 12 იანვარს, 2016 წლის 15 იანვარს და 2016 წლის 08 თებერვალს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გამართულ სხდომებს ესწრებოდა საჩივრის ავტორი. აღნიშნული საქმე 2016 წლის 08 თებერვალს დასრულდა მხარეთა მორიგებით. მორიგების აქტს ხელი მოაწერეს ძ. ჩ.-მ, ვ. გ.-მ, ბ. ყ.-მა, ბ. ა.-მ და მისმა წარმომადგენელმა ჯ. ჟ.-მ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტებებს;
- 12.01.2016 წლის სასამართლოს უწყება (ხელწერილი);
- 15.01.2016 წლის სასამართლო სხდომის ოქმი;
- 08.02.2016 წლის სასამართლო სხდომის ოქმი;
- 08.02.2016 წლის მორიგების აქტი;
- ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 08.02.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №020210015001174100(2/1233-15).

11.1.3. 2016 წლის 12 თებერვალს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს მოსამართლის თანაშემწემ ადვოკატ ვ. გ.-ს გაუგზავნა 08.02.2016 წლის განჩინება. ვ. გ.-მ 2016 წლის 23 თებერვალს ჩაიბარა განჩინება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- მოსამართლის თანაშემწის გზავნილი და ხელწერილი.

11.1.4. ადვოკატმა ვ. გ.-მ 2019 წლის 30 აპრილს გადასცა ძ. ჩ.-ს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟი 525 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- 30.04.2019 წელს შედგენილს ხელწერილს.

11.1.5. 2016 წლის 08 თებერვალს, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტის საფუძველზე გაუქმდა ძ. ჩ.-სა და ბ. ა.-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება სადავო უძრავ ქონებაზე და ძ. ჩ.-მ აიღო ვალდებულება აღნიშნული ქონება და მასში მოთავსებული მოძრავი ქონება ეანდერძა მისი შვილიშვილის რ. ჩ.-სთვის, რომლის უზრუნველსაყოფადაც ძ. ჩ.-მ უძრავ ნივთებზე მესაკუთრედ აღრიცხვის დღესვე სანოტარო წესის დაცვით შეადგინა ანდერძი რ. ჩ.-ს სასარგებლოდ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 08.02.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №020210015001174100(2/1233-15).

11.1.6. მორიგების აქტის საფუძველზე ძ. ჩ.-მ 2016 წლის 24 მარტს სანოტარო წესით შეადგინა ანდერძი მისი შვილიშვილის - რ. ჩ.-ს სასარგებლოდ. 2016 წლის 31 აგვისტოს კი ძ. ჩ.-მ მოწმეების ნ. ჩ.-სა და მ. ლ.-ს თანდასწრებით სანოტარო აქტით გააუქმა 2016 წლის 24 მარტს შედგენილი ანდერძი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- ანდერძის დამოწმების გაუქმების თაობაზე 31.08.2016 წელს სანოტარო წესით შედგენილი დოკუმენტი.

11.1.7. 2017 წლის 23 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განცხადებით მიმართა ძ. ჩ.-მ და მოითხოვა უძრავ ქონებაზე სასამართლო განჩინების საფუძველზე ასახული ვალდებულებების შეწყვეტის რეგისტრაცია, თუმცა სარეგისტრაციოს წარმოება ჯერ შეჩერდა, ხოლო შემდგომ შეწყდა იმ მიზეზით, რომ მოსარჩელემ საჯარო რეესტრში ვერ წარადგინა მხარეთა მიერ დადებული ორმხრივი გარიგება გაფორმებული საჯარო რეესტრის სახით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საჯარო რეეტრის სამსახურიდან უარის მიღების შემდეგ, ძ. ჩ.-მ მიმართა ზუგდიდიდს რაიონულ სასამართლოს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 08 თებერვლის განჩინებით დამტკიცებული მორიგების 1.2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თავისი ვალდებულების შეწყვეტილად აღიარებისა და საჯარო რეესტრში ცვლილებების რეგისტრაციის მიზნით. აღნიშნულ დავაში მოპასუხე მხარე იყო რ. ჩ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;

- - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20.03.2019 წლის განჩინება საქმე №2/ბ-129-2019

11.1.8. 2018 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა ძ. ჩ.-ს სარჩელი. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა რ. ჩ.-ს სააპელაციო საჩივარი და გააუქმა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი იყო პროცედურული ნორმების დარღვევა, კერძოდ სასამართლომ მიუთითა, რომ დავაში მოპასუხე მხარე უნდა ყოფილიყო ბ. ა. და არა რ. ჩ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20.03.2019 წლის განჩინება საქმე №2/ბ-129-2019

11.2. საქმეში არსებული სადავო გარემოებებია:

11.2.1. საქმიანობდნენ თუ არა ერთ საადვოკატო ბიუროში ადვოკატი ვ. გ. და ძ. ჩ.-ს მოპასუხე მხარის ადვოკატი ჯ. ჟ., ვინაიდან საპროცესო კოლეგიის მიერ გამოკითხული მოწმე - ადვოკატი ჯ. ჟ., აღნიშნავს, რომ ადვოკატ ვ. გ.-სთან ერთად ერთ საადვოკატო ბიუროში არასდროს მუშაობდა, ხოლო მოწმე ი. ჩ. განმარტავს, რომ ადვოკატ ვ. გ.-სთან ოფისში ყოფნის დროს მათ საუბარს ასევე ესწრებოდა ადვოკატი ჯ. ჟ.. განხილვის კოლეგია მტკიცებულების სახით ვერ მიიღებს მოწმის სახით გამოკითხული პირის ი. მ.-ის განმარტებას, რომელმაც საპროცესო კოლეგიას მიაწოდა ახლობლებისგან მიღებული ინფორმაცია ადვოკატ ვ. გ.-სა და ჯ. ჟ.-ს ერთ ოფისში საქმიანობის შესახებ, თუმცა თავად აღნიშნულ ფაქტს არ შესწრებია. შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილია ორი ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულება, კერძოდ ორი მოწმის განსხვავებული პოზიციები.

11.2.2. სადავო გარემოებაა მოხდა თუ არა ადვოკატ ვ. გ.-ს მიერ საჩივრის ავტორისთვის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 08.02.2016 წლის განჩინების გადაცემა. უდავო გარემოებაა, რომ სასამართლო განჩინება მიიღო ადვოკატმა ვ. გ.-მ, ძ. ჩ. მიუთითებს, რომ განჩინების მიღების მიზნით მიაკითხა ადვოკატ ვ. გ.-ს, ის დაჰპირდა მის გადაცემას, მაგრამ არ გადასცა. ადვოკატი ვ. გ. კი აღნიშნავს, რომ მან საჩივრის ავტორს გადასცა სასამართლოს განჩინება.

12. **შემაჯამებელი დასკვნა:**

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. გ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

13. **სამართლებრივი შეფასება**

13.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. გ.-ს მიერ დარღვეულია კლიენტისთვის დოკუმენტაციისა და ფულადი სახსრების გონივრულ ვადაში დაბრუნების ვალდებულება:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს

გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში.“(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი).

13.2 ადვოკატის მიერ ყოფილი კლიენტისთვის მის საქმეზე მოპოვებული დოკუმენტაციის დაბრუნება ადვოკატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა და ემსახურება ყოფილი კლიენტის ინტერესების დაცვას, რათა მას დაბრკოლება არ შეექნას სამართლებრივი პროცედურების განხორციელებისას და ჰქონდეს მისი უფლებების სრულყოფილად რეალიზაციის საშუალება. ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი ყოფილ კლიენტს, რადგან კლიენტს ხელი მიუწვდებოდეს მისთვის მნიშვნელოვან და აუცილებელ დოკუმენტაციაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც აუცილებელია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

13.3 „დოკუმენტები კლიენტის მიერ მიწოდებული, ადვოკატის მიერ მოპოვებული ან ადვოკატის მიერ დამუშავებული საკითხის იურიდიული სახე ან ფორმაა, რომლის დანიშნულება ან ღირებულება კლიენტის ინტერესების გატარების პროპორციულია და საშუალებაა მიღწეული იქნას ის, რაც კლიენტის კანონიერ ინტერესებს ემსახურება. ადვოკატს არ გააჩნია მიზეზი არ დაუბრუნოს კლიენტს დოკუმენტები“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N103/13).

13.4 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა კლიენტისთვის დოკუმენტაციის და სასამართლო განჩინების დაბრუნების დადასტურება, რაც ადვოკატმა ვერ შეძლო. მხოლოდ მისი უარყოფა კი ვერ გახდება მტკიცების საფუძველი. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა არ დაუბრუნა კლიენტს სამოქალაქო საქმის დასრულების შემდეგ დოკუმენტაცია და სასამართლოს განჩინება, რომელიც მან პირადად ჩაიბარა.

13.5 განხილვის კოლეგიამ ასევე იმსჯელა ადვოკატ ვ. გ.-ს მიერ სახელმწიფო ბაჟის დააბრუნების საკითხზე. კოლეგია განმარტავს, რომ დოკუმენტაციის დაბრუნების ვალდებულებასთან ერთად ადვოკატს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ავალდებულებს დაუბრუნოს კლიენტს ყველა ფულადი სახსრები, რომლებიც ეკუთვნის კლიენტს და ადვოკატს ის მიღებული აქვს კონკრეტული დანიშნულებით. ასეთ თანხას განეკუთვნება სახელმწიფო ბაჟიც, რომელიც ადვოკატმა უნდა გადაიხადოს კონკრეტული დანიშნულებით, ხოლო სასამართლოს მიერ მისი დაბრუნების შემთხვევაში ადვოკატი ვალდებულია გადასცეს ეს თანხა კლიენტს გონივრულ ვადაში.

13.6 „კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს

კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ 8 უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება“ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე #003/12).

13.7 უდავო გარემოებებია, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლო განჩინება, რომლითაც ძ. ჩ.-ს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მიღებულია 2016 წლის 08 თებერვალს, ძ. ჩ.-მ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა 2019 წლის 01 აპრილს, ხოლო ვ. გ.-მ თანხა დაუბრუნა შემდეგ - 2019 წლის 30 აპრილს. ადვოკატის მიერ ძ. ჩ.-სთვის სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება მოხდა მას შემდეგ, რაც საჩივრის ავტორმა საჩივარი წარმოადგინა ეთიკის კომისიაში.

13.8 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდეგ და სასამართლო განჩინების მიღებიდან 3 წლის შემდეგ ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა გონივრულ ვადაში არ დაუბრუნა კლიენტს მინდობილი თანხა. გონივრული ვადა შეიძლება იყოს რამდენიმე სამუშაო დღე, ან თუ არსებობს ობიექტური გარემოება (ადვოკატის შვებულება, ავადმყოფობა და ა.შ.), მაშინ ამ ობიექტური გარემოების არსებობით ამ ვადის გაგრძელება. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს სასამართლო ბაჟის დაუყოვნებლივ დაბრუნების შესაძლებლობაც და ვალდებულებაც ჰქონდა. თუმცა მან ეს ვალდებულება მხოლოდ საჩივრის ავტორის მხრიდან პრეტენზიის დაფიქსირების შემდეგ შეასრულა

13.9 განხილვის კოლეგიმ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. გ.-ს მიერ არ არის დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1 და 6.3 მუხლები, ვინაიდან საქმეში მოცემულია მხოლოდ ორი საპირისპირო მტკიცებულება და არ არის წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ადვოკატების ვ. გ.-ს და ჯ. ჟ.-ს ერთ საადვოკატო ოფისში საქმიანობა და ადვოკატ ვ. გ.-სა და ძ. ჩ.-ს შორის საუბრების მიმდინარეობისას ადვოკატ ჯ. ჟ.-ს დასწრება (პარ. 11.2.1).

13.10 განხილვის კოლეგიამ ასევე მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. გ.-ს მიერ არ არის დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.2 მუხლი. განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მსჯელობას მორიგების პირობების შინაარსის გაცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან მხარეთა ახსნა განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ძ. ჩ. ესწრებოდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გამართულ სხდომებს, ჩართული იყო მორიგების პირობების განხილვის პროცესში და მორიგების აქტის პირობებზე თანხმობა ხელმოწერით დაადასტურა. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს ადვოკატების მიერ მორიგების აქტის პირობების თაობაზე კლიენტისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტზე, რადგან ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მხარეთა თანხმობით დაამტკიცა მორიგების აქტი. მორიგების აქტის შემოწმების ვალდებულება კი სასამართლოს კომპეტენციაში შედის, იმ შემთხვევაში თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, სასამართლო არ დაამტკიცებს ასეთ პირობებს.

13.11 რაც შეეხება, მორიგების აქტის პირობებიდან გამომდინარე ანდერძის გაუქმებით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევას, განხილვის კოლეგია არ იზიარებს ამ ნაწილში საპროცესო კოლეგიის პოზიციას. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტისთვის მორიგების აქტის შინაარსის გაცნობა, ასევე გულისხმობს მორიგების აქტიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას. მორიგების აქტში გათვალისწინებული იყო ანდერძის გაუქმების პუნქტი და კლიენტის იცნობდა აქტის ამ ნაწილს. მაშინ როდესაც ვსაუბრობთ, რომ ადვოკატის მხრიდან არ არის დარღვეული მორიგების აქტის შინაარსის შესახებ ინფორმირების ვალდებულება, შესაბამისად არ იქნება დარღვეული მორიგების აქტიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების კლიენტისთვის გაცნობა და მასთან ერთად გაანალიზება, ვინაიდან შინაარსის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ უნდა იქნეს განხილული მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით, ის ასევე გულისხმობს კლიენტისთვის სამართლებრივი რისკების გაანალიზებას.

13.12 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმის მორიგებით დასრულება წარმოადგენს მხარეთა უფლებას და ამ დროს მხარეები მოქმედებენ თავისუფალი ნებით, რათა განკარგონ საკუთარი მატერიალური და პროცესუალური უფლებები. მორიგების აქტი გამოხატავს მხარეთა მიერ გამოვლენილ საერთო ნებას და მასზე შეთანხება დგება მორიგების მიზნებიდან გამომდინარე, რაც გადმოცემული უნდა იქნეს შესაბამისი შინაარსით. მხარეთა ნება დაასრულონ საქმე მორიგებით, აღსრულდება სასამართლოს მიერ, რომელიც კანონიერების კონტროლის საფუძველზე ამტკიცებს მორიგების აქტში გათვალისწინებულ პირობებს.

13.13 უდავო ფაქტია, რომ ძ. ჩ.-სთვის ადვოკატების მხრიდან ცნობილი იყო მორიგების აქტის შინაარსი, რაც გამორიცხავს მის არაინფორმირებულობას მორიგების სამართლებრივი შედეგების თაობაზე. განხილვის კოლეგია ასევე აღნიშნავს, რომ ძ. ჩ.-ს მიერ მორიგების პირობების შესრულებით გამოწვეული არასასურველი შედეგი არ არის დაკავშირებული ადვოკატის მხრიდან ინფორმირების ვალდებულების დარღვევასთან

13.14 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. გ.-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი, რის გამოც კოლეგიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

13.15 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახეს, სიმძიმეს, პროფესიისათვის მიყენებული ზიანს, ადვოკატის საქმიან რეპუტაციას, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმას და სხვა გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

13.16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული

ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება."

13.17 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ არ არსებობს გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი ადვოკატ ვ. გ.-ს წინააღმდეგ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ადვოკატი ვ. გ. მონაწილეობას იღებდა სხვა სამართლებრივ დავებში, რომელიც წარმოიშვა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დამტკიცებული მორიგების აქტის შემდეგ. ადვოკატი იყენებდა იმ დოკუმენტაციას, რომლის დაბრუნებაც საჩივრის ავტორმა სადავო გახადა. შესაბამისად, შემდგომი პროცესების განმავლობაშიც ადვოკატი სარგებლობდა აღნიშნული დოკუმენტაციით, ხოლო ძ. ჩ.-ს ჰქონდა შესაძლებლობა მიმდინარე პროცესებში გასცნობოდა მათ. ამასთანავე, ვ. გ.-მ დაუბრუნა ძ. ჩ.-ს ბაჟის თანხა, რაც ერთის მხრივ შემამსუბუქებელი გარემოება, თუმცა დამამძიბელია იმ მხრივ, რომ ეს ფაქტი საჩივრის შემოტანის შემდეგ მოხდა.

13.18 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ ასევე გაითვალისწინა დაკისრებული პასუხისმგებლობა მსგავს დარღვევებზე. 2019 წლის 20 სექტემბრის N070/18 გადაწყვეტილებაში, დადგინდა 8.15 მუხლის დარღვევა, რის მიხედვითაც დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა. მოცემულ საქმეშიც ადვოკატმა მხოლოდ ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის შემდეგ დაუბრუნა თანხა კლიენტს.

13.19 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. გ.-ს მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორიცაა კლიენტისთვის საქმის დასრულების შემდეგ დოკუმენტაციისა და მინდობილი თანხის დაბრუნება.

13.20 განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 33-ე, 35–ე მუხლით და 38–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N042/19 ადვოკატ ვ. გ.-ს მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიისწევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/